სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080180382197521

№ 1422 29 / აპრილი / 2021 წ.

2021–2035 წლების ერთიანი სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის № 306 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ საფუძველზე:

1. დამტკიცდეს 2021–2035 წლების ერთიანი სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმა (დანართი №1).

2. ზედამხედველობა ამ განკარგულების აღსრულებაზე დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს გელა გელაშვილს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სამოქმედო გეგმა

2021 წლის მაისი - 2022 წლის მაისი

მიზანი 1	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევა, რაც თავის თავში გულისხმობს ასევე მდგრადი განვითარების და მდგრადი საჯარო შესყიდვების ერთ-ერთი განზომილების – სოციალური ასპექტის მოქმედ კანონმდებლობაში ასახვას და რეალიზებას, მათ შორის, შშმ პირებთან დაკავშირებით	
ამოცანა 1.1	მრავალი საერთაშორისო ექსპერტისა და ორგანიზაციის ჩართულობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებულ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გათვალისწინებულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნებიც. ამავე დროს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში კანონპროექტში გადმოტანილ იქნა 2014/24/EU ევროდირექტივაში ასახული დებულებები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ შშმ პირებთან დაკავშირებულ საჯარო შესყიდვის გარკვეულ სეგმენტებს, მაგალითად, როგორიცაა საჯარო შესყიდვის პროცედურების დარეზერვება (კანონპროექტის 34-ე მუხლი), ასევე შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების აღწერისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების გათვალისწინების მოთხოვნა (კანონპროექტის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი)	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია კანონპროექტი „საჯარო შესყიდვების შესახებ“ 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე; საქართველოს მთავრობისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მიღებულია შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: შესამუშავებელი ახალი საკანონმდებლო ნორმები როგორც პირველადი, ასევე მეორად კანონმდებლობაში მისაღებად	ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი: ახალი საკანონმდებლო ნორმები როგორც პირველად, ასევე მეორად კანონმდებლობაში მიღებულია სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ
აქტივობა 1.1.1	საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწა, რაც გულისხმობს საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში შშმ პირებთან დაკავშირებული ნორმების ინტეგრირებას	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	დაფინანსების წყარო

<table>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">ახალი საკანონმდებლო ნორმები როგორც პირველად, ასევე მეორად კანონმდებლობაში მიღებულია სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ</td><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ოდენობა (₾)</td><td>კოდი</td><td>ოდენობა (₾)</td><td>ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td>სააგენტოს ბიუჯეტის სახსრები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">პარტნიორი უწყება:
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>მიზანი 2</td><td colspan="6">შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა</td></tr>
<tr><td>ამოცანა 2.1</td><td colspan="6">რადგან დასაქმების საკითხი პირდაპირ უკავშირდება ამა თუ იმ სფეროში შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის სავალდებულოდ ქონას, ხოლო ასეთი კვალიფიკაციისა და ცოდნის მიღების შესაძლებლობა შშმ პირებისთვის ხშირად არ არის ხელმისაწვდომი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობა შეუქმნას ხსენებული სფეროთი დაინტერესებულ შშმ პირებს, შემდგომში ამ მიმართულებით დასაქმების მიზნით</td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">ამოცანის შედეგის ინდიკატორი:
გაზრდილია შშმ პირების დასაქმების მაჩვენებელი სხვადასხვა შემსყიდველ ორგანიზაციაში</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
სხვადასხვა შემსყიდველ ორგანიზაციაში დასაქმებულ შშმ პირთა არსებული რაოდენობა 2021 წლის მაისის მდგომარეობით</td><td colspan="3">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
სხვადასხვა შემსყიდველ ორგანიზაციაში დასაქმებულ შშმ პირთა არსებული რაოდენობა 2022 წლის მაისის მდგომარეობით</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.1</td><td colspan="6">სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მოქმედი სასწავლო ცენტრი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასაქმებული კვალიფიციური ტრენერების აქტიური ჩართულობით, უზრუნველყოფს ტრენინგების მიწოდებას შშმ პირთა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის</td></tr>
<tr><td rowspan="4"></td><td rowspan="4">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
სხვადასხვა შემსყიდველ ორგანიზაციაში დასაქმებულ შშმ პირთა არსებული რაოდენობა 2022 წლის მაისის მდგომარეობით</td><td colspan="5">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ოდენობა (₾)</td><td>კოდი</td><td>ოდენობა (₾)</td><td>ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td>სააგენტოს ბიუჯეტის სახსრები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">პარტნიორი უწყება:
შშმ პირთა სხვადასხვა ასოციაცია/კავშირი; USAID EGP პროგრამა; UN Agencies; სხვა დონორული ორგანიზაციები</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>მიზანი 3</td><td colspan="6">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სერვისებზე ხელმისაწვდომობის ამაღლება</td></tr>
<tr><td>ამოცანა 3.1.</td><td colspan="6">სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფრასტრუქტურის დახვეწა შშმ პირების მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით</td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">ამოცანის შედეგის ინდიკატორი:
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მოხვედრილი შშმ პირი, მისთვის საჭირო სერვისის მისაღებად, შესაბამის სივრცეში თავისუფლად მოხვედრას შეძლებს</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
სააგენტოს შენობის ადაპტირების სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე განხორციელებულია, მიმდინარეობს დამატებითი განსახორციელებელი სამუშაოების იდენტიფიცირება</td><td colspan="4">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
სააგენტოს შენობის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირების შესაძლებლობაზე (მოწყობილია პანდუსები, ლიფტი შესაბამისობაში ამოყვანილი მოთხოვნებთან, შშმ პირს შეუძლია თავისუფლად მოხვდეს სააგენტოს ნებისმიერ სართულზე საჭიროების მიხედვით, ადაპტირებულია სველი წერტილი)</td></tr>
<tr><td>აქტივობა 3.1.1</td><td colspan="6">პანდუსების მოწყობა, ლიფტის შესაბამისობაში მოყვანა მოთხოვნებთან, ადაპტირებულია სველი წერტილი, დამონტაჟებულია დამატებითი კარი შემოსასვლელში, ე.წ. ტურნიკეტს გაუკეთდა სპეციალური შემოსასვლელი ეტლით მოსარგებლე პირთათვის</td></tr>
<tr><td rowspan="4"></td><td rowspan="4">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
სააგენტოს შენობის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირების შესაძლებლობაზე</td><td colspan="5">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ოდენობა (₾)</td><td>კოდი</td><td>ოდენობა (₾)</td><td>ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td>სააგენტოს ბიუჯეტის სახსრები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">პარტნიორი უწყება:</td></tr>
</table>

ამოცანა 3.2.	შშმ პირების მიღებისა და კონსულტაციების გაწევის ხარისხის ამაღლების მიზნით გზამკვლევის შემუშავება	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: სააგენტოს ყველა თანამშრომელი იცნობს გზამკვლევს; გავლილი აქვს შესაბამისი ინსტრუქტაჟი; შესაბამისად, ამაღლებულია სააგენტოს თანამშრომლების მომსახურების ხარისხი შშმ პირების მომსახურებასთან მიმართებაში	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: დოკუმენტის შემუშავებისათვის მიმდინარეობს პირველადი ანალიზის ეტაპი	ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი: შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი, სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი
აქტივობა 3.2.1	მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი სპეციალური მოთხოვნების ანალიზი, დოკუმენტის სტრუქტურის და „კონტენტის“ შემუშავება, დოკუმენტის პროექტის შემუშავება	

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: დოკუმენტი შემუშავებულია, სააგენტოს თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი	დაფინანსების წყარო				
		სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა (₾)	კოდი	ოდენობა (₾)	ორგანიზაცია	
		სააგენტოს ბიუჯეტის სახსრები				

	პარტნიორი უწყება: შშმ პირთა სხვადასხვა ასოციაცია/კავშირი

ამოცანა 3.3	საპროექტო წინადადების შემუშავება - სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის და ვებ-პორტალის (procurement.gov.ge) სერვისების შესახებ ვიდეო/ხმოვანი რგოლების შექმნისა და მისი უხმო გახმოვანების (ჟესტური ენის თარჯიმნის მეშვეობით) უზრუნველყოფის მიზნით

<table>
<tr><td></td><td colspan="6">ამოცანის შედეგის ინდიკატორი:
შემუშავებულია შესაბამისი საპროექტო წინადადება; დაწყებულია მისი განხორციელებისთვის საჭირო სამუშაოების/ღონისძიებების განხორციელება</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
საპროექტო წინადადების დამუშავების წინა მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების ეტაპი</td><td colspan="4">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
შემუშავებული უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტის პროექტი და სამოქმედო გეგმა (შესაძლებელია დაწყებული იქნეს კონკრეტული ვიდეო რგოლების გადაღება)</td></tr>
<tr><td>აქტივობა 3.3.1</td><td colspan="6">მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ელექტრონული ბაზების ანალიზი; საპროექტო წინადადების დოკუმენტის სტრუქტურის შემუშავება; საპროექტო წინადადების პროექტის შემუშავება</td></tr>
<tr><td rowspan="4"></td><td rowspan="4">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
შექმნილია საპროექტო წინადადება</td><td colspan="5">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ოდენობა (ლ)</td><td>კოდი</td><td>ოდენობა (ლ)</td><td>ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td>სააგენტოს ბიუჯეტის სახსრები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">პარტნიორი უწყება:
შშმ პირთა სხვადასხვა ასოციაცია/კავშირი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>მიზანი 4</td><td colspan="6">შშმ პირების ფართო ინტეგრირების პროცესის მეტად ხელშეწყობა და მათი ინტერესების დაკმაყოფილება სახელმწიფო შესყიდვების კუთხით</td></tr>
<tr><td>ამოცანა 4.1.</td><td colspan="6">სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში შემუშავდება სპეციალური კურსი როგორც ონლაინ, ასევე ადგილზე, რომელიც მორგებული იქნება შშმ პირებზე, მოხდება მათი გადამზადება და სერტიფიცირება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასაწავლო ცენტრში ერთდროულად შესაძლებელია 15-მდე შშმ დაინტერესებული პირის გადამზადება. სააგენტოს საკონფერენციო დარბაზის სივრცე სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მიზანია - სურვილის შემთხვევაში მათი სამომავლოდ საჯარო შესყიდვების სფეროს მიმართულებით (შემსყიდველ ორგანიზაციებში ან მიმწოდებელ კომპანიებში) დასაქმების კუთხით.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">ამოცანის შედეგის ინდიკატორი:
შშმ პირებზე მორგებული სპეციალური სასწავლო კურსი შემუშავებულია</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
საჭიროებების იდენტიფიცირების ეტაპი</td><td colspan="4">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
შემუშავებულია სასწავლო კურსის პროექტი, დაწყებულია ტრეინინგის გავლის მსურველთა რეგისტრაცია, გადამზადებულნი არიან ტრენერები და სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია</td></tr>
<tr><td>აქტივობა 4.1.1</td><td colspan="6">სააგენტოში სპეცილური სამუშაო ჯგუფის შექმნა თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით; საჭიროებების იდენტიფიცირება; სილაბუსის და სასწავლო პროგრამის სტრუქტურის შემუშავება, საპრეზენტაციო მასალების მომზადება; სილაბუსის, ასევე სასწავლო და კალენდარული პროგრამის შემუშავება</td></tr>
<tr><td rowspan="4"></td><td rowspan="4">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
შექმნილია სამუშაო ჯგუფი, შექმნილია სილაბუსი და შემუშავებულია სასწავლო პროგრამა</td><td colspan="5">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ოდენობა (₾)</td><td>კოდი</td><td>ოდენობა (₾)</td><td>ორგანიზაცია</td><td></td></tr>
<tr><td>სააგენტოს ბიუჯეტის სახსრები</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="6">პარტნიორი უწყება:</td></tr>
</table>

	შშმ პირთა სხვადასხვა ასოციაცია/კავშირი; USAID EGP პროგრამა; UN Agencies; სხვა დონორული ორგანიზაციები